ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200092190**
თარიღი: **09/01/2020**
პინი: **8537**

ადრესატი: შპს ტიფლის ბიზნეს ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405004917
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბიძინა კვერნაძის ქ.№10

გადაამონმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 9 იანვრის N10/0120009561-18 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში 2019 წლის 20 დეკემბერს N: AR1725387 წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, ვინაიდან თქვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს.კ.:01.10.13.033.100) დაგეგმილია უსაძირკვლო აგრეგატის განთავსება და ნარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ დაგეგმილი სამშენებლო პროცესი უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს მწვანე ნარგავებზე, შესაბამისად, **სამსახური ნინააღმდეგი არ არის განახორციელოთ N: AR1725387 განცხადებით გათვალისინინებული სამშენებლო სამუშაოები, ისე რომ არ განადგურდეს ან/და დაზიანდეს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები.**

აქვე დავძენთ, რომ თუ ტერიტორიაზე უნებართვოდ მოიჭრება ან/და გადაირგვება მწვანე ნარგავი, სამართალდამრღვევის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმონერა/ელექტრონული შტამპი

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-086 405026877